სამშობლო

პარასკევი
27 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიური 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 233 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 233

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —
გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ეულად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის ნებართვით და ლოცვაკურთხევით,
პარასკევს, 27 და კვირას, 29 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში
გაიმართება პირველად ქუთაისში
დიდი ქართული სასულიერო მხატვრული საგალობელთა
საღამო-კონცერტი
კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.
შესრულებული იქნება: ძველი საეკლესიო საგალობელნი, პეტროგრადში გამართულ სასულიერო კონცერტის საუკეთესო ნომრები და სხვადასხვა რჩეული სამუსიკო ნაწარმოები.
საკონცერტო გუნდი შესდგება 200 ქალვაჟისაგან.
ბილეთები საღღისოთ დარჩენილი იყიდება კ. ოცხელისა მაღაზიაში. 6—5
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ცალკე აფიშები არ იქნება გაკრული.

კვირას, 29 ნოემბერს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებული
ზესნა სპირდონის ასულის გვახარიასი
სულის მოსახსენებლად,
რასაც აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ განსვენებულის მეუღლე ბესარიონ გვახარია შვილებითა და სიძით. პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე.
2—1—6041

მოქალაქენო!
ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, დაიწყოს მოქმედება
კოოპერატიული ფურნე.
სიძვირისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო საშუალებაა—თვით მომხმარებელთა ორგანიზაცია. ჩაეწერეთ წევრებათ საზოგადოებაში, გახდით მისი მუდმივი მომხმარებელი და მით უზრუნველყავით თქვენთვის ფრიად სასარგებლო დაწესებულების არსებობა. არ დაივიწყოთ რომ ძალა ერთობაშია, გახსოვდეთ რომ საღი პური უსაჭიროესი მოთხოვნილებაა ადამიანისთვის.
პური გაიყიდება: ა) მწვანე ბაზარში—საზოგადოების კიოსკში, და, ბ) თვით ფურნეში—გენერალის ქუჩა, ექიმ შენგელიას სახლში.
იქვე შეიძლება წევრათ ჩაწერა.
ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია“.

ქ. ქუთაისში
1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში
გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.
სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი“ („როსსია“),
სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალ-ურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

ბავშვის ექიმი
მ. მგელაძე—გალიცკისა
ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებათ ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დადეშქელიანის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, პირფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, გაკვეთების დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფოროვ ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 26 ნოემბრიდან ახალი პროგრამა.
შუა უდევს დიდი ზღვარი.
ძლიერი დრამა 4 ნაწილათ, ცნობილ მსახიობის ნავარის მონაწილეობით.
პრენს დამბლა დაეცა. კომიკური სურათი პრინსის მონაწილეობით.
ანონსი: ორშაბათიდან, 30 ნოემბრიდან ნაჩვენები იქნება მხატვრული დრამა მხოლოდ მოზრდილთათვის
ეკატერინე ივანეს ასული. კინო პიესა 6 ნაწილათ, ლეონიდ ანდრეევის მონაწილ. დადგმული.
უმთავრეს როლებში მონაწილეობენ მოსკოველი გამოჩენილი არტისტები: მ. ნ. გირმანოვისა, მ. ა. დუროსოვისა, ნ. ნ. ბვრსენევი, ს. ნ. ვორონოვი, ნ.

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ
ჩემი საგალანტერეიო საქონლის ვაჭრობა
(მაღაზია), რომელიც იმყოფებოდა ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოგანეზოვების შენობაში, 20 ნოემბრიდან
გადავიტანე იმავე ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოცხელების შენობაში, რომელშიც წინეთ ვაჭრობდა გ. გ. ეფრემიძე; იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება მომმართავს ჩემს ახალ სავაჭროში.
14—1—6042 პატივისცემით ილ. ტარ. მოწონელიძე.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 24 ნოემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. დ. კრევოს რაიონში, მდ. ვილიის სამხრეთით თოფის სროლით ჩამოვაგდეთ მტრის აეროპლანი. მფრინავები დავატყვევეთ; სოფ. იანოვკის რაიონში, დაბა ბუჩაჩის ჩრდილო-დასავლეთით მტერი სცდილობდა ალმასავლეთით წინ წაწევას, მაგრამ სოფ. პელევასაკენ უკუგდებულ იქნა. აგრეთვე უნაყოფო იყო მტრის ცდა იერიში მოეტანათ ჩვენ ჯარზე სოფ. იალოვეცის და ჰიშკოვეცის რაიონში, სვენტენის ტბის დასავლეთით, აგრეთვე მდ. ვილიის სამხრეთით, სოფ. ცებროვის რაიონში ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი მზვერავები საუცხოვოდ მოქმედებდნენ. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზი. შავი ზღვიდან ვანის ტბის სამხრეთის ნაპირამდე ჩვენი მზვერავები მოქმედობდნენ. ხოროსანის სამხრეთით მდებარე რაიონში, მდ. არკინსზე, ზოგიერთ მთაგორიან რაიონში ქარბუქია. თოვლი ზოგან რვა არშინის სიმაღლეა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ლონდონი. 23 ნოემბერი. თემთა პალატა. ასკვიტმა განაცხადა, საკითხი მოკავშირეთა შეთანხმებულ მოქმედების შესახებ უკვე გადაწყვეტილია საბოლოვოდ საფრანგეთის მიმართ. ამჟამად ასეთივე საკითხი სწყდება სხვა მოკავშირეთა შესახებ. ასკვიტმა განაცხადა, რომ დაწვრილებით ცნობების გამოქვეყნება უადგილო იქნებოდა, რადგანაც მოკავშირეებს შეუძლიანთ ისარგებლონ მითი.

რომი. 22 ნოემბერი. გაზეთები თან და თან მეტ ურწმუნოებას გამოსთქვამენ საბერძნეთისადმი. ტრიბუნა ამბობს: „საბერძნეთმა ხელი მოაწერა ბულგარეთთან შეთანხმებას და აგრეთვე ცენტრალურ სახელმწიფოებთან; საუკეთესო შემთხვევაში ამიერიდან ბერძნები ავსტრიელგერმანელთა მიმართ კეთილ განწყობილების ნეიტრალიტეტს მაინც დაიცავენ.

ათინის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მონასტირის აღების შემდეგ გერმანელები სამხრეთ ალბანეთს დაიჭერენ. ტრიბუნა განაგრძობს ბჭობას მონასტირის დაჭერის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ბულგარელები მონასტირში არ შესულან, თუმცა და ისინი უკვე 4 დღის განმავლობაში დგანან ქალაქთან; გაზეთი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ მონასტირი საბერძნეთს გადაეცემა, როგორც ჯილდო ნეიტრალიტეტის დაცვისათვის.

სოლუნი. 22 ნოემბერი. გუშინ ბულგარელებმა სასტიკი სროლა დაუწყეს ინგლისის ჯარის მარცხენა ფრთას. მდ. ლურნის მარცხენა ნაპირას ფრანგების მიერ მოგერიებულ იქნა სუსტი იერიშები ბულგარელებისა. ბულგარელებს სურდათ კუსტიონოზე ღამით იერიში მიეტანათ, მაგრამ თოფის სროლით მოგერიებულ იქნენ. სერბიელნი განაგრძობენ უკან დახევას, ბულგარელები არა სდევნიდნენ, რაიცა უეჭველია, ამოწმებს ბულგარელთა დაღლილობას.

აქ დიდძალი გამოქცეული სერბიელი მოდის.

ათინა. 22 ნოემბერი. პოლიტიკური მდგომარეობა უცვლელია. მტკიცდება ცნობა, რომ თითქმის ყველა სერბიელმა ჯარისკაცმა მოახერხა ალბანეთში გადასვლა. მონასტირის მიტოვების შემდეგ გენერალ ვასიჩის ჯარი მთლიანად მივიდა რესნაში. ბულგარელები და ოსმალოები თავს იყრიან ფრაკიის სანაპიროებზე, რადგანაც მოკავშირეთა ჯარის გადმოსხმას მოელიან. გერმანელები ბერლინსა და სტამბოლს შუა პირდაპირი სატელეფონო და სარკინიგზო დამოკიდებულების აღდგენას ფიქრობენ.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

დ. ილუქსტი.

ილუქსტიდან მოსული პირები გადმოგვცემენ, რომ ილუქსტი, სადაც ხდებოდა სისხლის მღვრელი ომი, ძლიერ დაზიანებულია. წინად ეს დაბა გამშვენებული იყო ბაღებით, ახლა კი მხოლოდ ცარიელ ნანგრევებსა და ცეცხლ[illegible] ილუქსტის მცხოვრებლებმა მტრის მოახლოვებამდი მიატოვეს საცხოვრებელი ბინა და გაიხიზნენ. დარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი 11000 მცხოვრებისაგან და კასტელის ქენდზი, რომელმაც არა ერთჯერ გადაარჩინა ტაძარი ცეცხლის განადგურებისაგან. დ. ილუქსტში უმთავრესად სცხოვრობდენ ბელორუსები, ლატიშები, პოლონელები და ებრაელები.

ხმები ზავის მოახლოვებაზე.

„დეილ ტელეგრაფის“ ცნობით ნიუ-იორკიდან, ცნობილი მეცნიერი პროფესორი გუგო მონსტერბერგი, რომელსაც დიდი როლი უკავია გერმანო-ამერიკელების წრეებში, ამერიკაში გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს აცხადებს:

— არსებობს შეურყეველი და მტკიცე საფუძველი ვიფიქროთ, რომ ზავი დიდხანს არ დაგვიანდება, მაგრამ გერმანეთის მთავრობამ ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ გამოსთქვა თავისი გარკვეული აზრი ამ საკითხის შესახებ, ამიტომ სამხედრო მოქმედება გრძელდება.

სამშვიდობო ექსპედიცია.

„ტაიმსის“ ცნობით ვაშინგტონიდან ფორდის სამშვიდობო ექსპედიციის გამგზავრება დანიშნულია შაბათისათვის. რაც შეეხება ბრაიანს, იგი თანაგრძნობით შეხვდა ფორდის მოწოდებას, სურვილი განუცხადა მონაწილეობა მიიღოს მის ექსპედიციაში და თვით დაიქირავა გემი „ფრიდრიხ VIII“. ბრაიანი ამერიკულ სამშვიდობო ლიგის წევრებთან ერთად მალე გაემგზავრება ევროპაში, რომ პროპაგანდა გასწიოს მებრძოლ სახელმწიფოთა შორის ზავის ჩამოსაგდებათ.

რუშჩუკისკენ გამგზავრება.

როგორც გაზ. „უნივერსალი“ იუწყება, ავსტრო გერმანელების ჯარის ნაწილი სერბიას სტოვებს და მიემართება რუშჩუკისაკენ იმ მიზნით, რომ ბულგარეთი დაიცვას.

„კაფლოუი“ იტყობინება, რომ ბულგარელებმა ომის დროს დაჰკარგეს 100,000 მეომარი, ხოლო, მაკენზენის არმიამ სულ 120000 კაცი.

—

ინგლისურ ჟურნალის „ლანდანდვატერის“ თანამშრომელი ბელოკი შემდეგს ლაპარაკობს: გერმან ის ახალი იერიშები დვინსკის ფრონტზე გამოწვეულია იმ მიზნით, რომ ამ რაიონში შეაჩეროს რაც შეიძლება რუსების დიდ ძალი ჯარი. [illegible] ლში გერმანელები ცდილობენ ხელი შეუშალონ რუსების ძლევა მოსილებას. რაც უნდა დიდ მსხვერპლის გამოღებას თხოულობდეს ეს განზრახვა. გერმანელების ასეთი მოქმედება გამოწვეულია იმით, რომ ამ ფრონტზე რუსების მოქმედებას დიდი წარმატება ემჩნევა, რაც გერმანელებისათვის არა სასურველ ხასიათს ღებულობს როგორც საომარ, ისე სახელმწიფო, პოლიტიკურ ცხოვრებისათვის.

გერმანიის მხედრობა დიდ დაბრკოლებებს განიცდის. შეიძლება ყველა ეს მიეწეროს გერმანიის ცუდ მდგომარეობაში მყოფობას. ბელოკი განაგრძობს, რომ გერმანელები მოიქანცენ და ცუდ პირობებში იმყოფებიანო. იქვე აღნიშნავს, გერმანელებს შეუძლიათ ბრძოლის განახლება, 1916 წლის გაზაფხულის დამდეგსო.

—

გერმანელ ინჟინრების კავშირმა ცნობა მიიღო, პანამის არხის დაკეტვის შესახებ. როგორც სჩანს არხის ფსკერი ზოგიერთ ადგილებში ამოწეულა და შეუქმნიათ მრავალი პატარ-პატარა კუნძულები, არხის დაკეტვა იხსნება ვულკანიურ ეფექტების მოძრაობის გამო. არხის დაკეტვა დიდათ შეუშლის ხელს ოკეანებთან პირდაპირ მისვლა-მოსვლას, დიდ დაბრკოლებას გამოიწვევს.

ესად ფაშის გამგზავრება.

გაზეთ „სოკოლის“ უტყუარი ცნობები მიუღია: ესად-ფაშა გმირ-მალისორების ჯგუფთან და ალბანეთის სხვა მოღვაწეთა წარმომადგენლებთან ერთად სკუტარას გაემგზავრა, რომ სერბიის მთავრობის დახმარებით გამოარკვიონ საკითხი, თუ რა ღონის ძიებით შეაჩერონ ავსტრო-გერმანელების შეტევა ადრიანტიკის სანაპიროებისკენ.

საბერძნეთის პასუხი.

„ტაიმსი“ ათინიდან იტყობინებენ: საბერძნეთის მთავრობა შეუძლებლათ სცნობს გაიყვანოს თავისი ჯარი სალონიკის სამხედრო ოლქიდან, რადგანაც ძლიერ საშიშია სურსათის მიწოდება სხვაგან გადაყვანილ მრავალ რიცხოვან ჯარისადმი.

გერმანიაში.

სოციალისტების მიერ წამოყენებული შეკითხვა კანცლერისადმი, თუ რაგვარი პირობებით სურს მას ჩამოაგდოს ზავზე ლაპარაკი, აღელვებს მემარჯვენეთა პრესას. მემარცხენეების ორგანო „დეიტშტაგეს ცეიტუნგი“ ამ საკითხს უადგილოთ [illegible] თივე აზრის არიან ბურჟუაზიული პარტიები.

მიუხედავათ ამისა „ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს: რისთვის უნდა უარყოს კანცლერმა ამ საკითხზე პასუხის მიცემა? ჩვენ შეუძლიათ გვიპასუხონ, რომ ასეთ საკითხზე მსჯელობას მტერი გერმანიის დაუძლურებით ახსნისო. მაგრამ იგივე ინგლისელები რატომ არ ფიქრობენ ამას, როცა მათი ლორდები მომავალ ზავზე ლაპარაკობენ? ნუ თუ ბრძოლის ველზე გერმანეთის მდგომარეობა იმას გვიკარნახებს, რომ უფრო თავდაჭერილათ მოვიქცეთ?

მეორე საკითხი,— ზავზე მოლაპარაკებას ექნება თუ არა წარმატებითი შანსები— შესაძლებელია სასურველათ არ გადასწყდეს, ვინაიდან მოპირდაპირეებს არ სურთ რაიმე მოლაპარაკება გამართონ ზავის შესახებ, მაგრამ სასურველია, რომ კანცლერმა დაწვრილებით გადმოგვცეს თავისი განზრახვანი და საქმის ნამდვილი მდგომარეობა.

„ფორს ცაიტუნგი“ გამოსთქვამს, რომ სოციალისტების უმთავრეს მიზანს ის კი არ შეადგენს, რომ უთუოდ კანცლერმა ზავის პირობებზე ილაპარაკოს, არა მათ სურთ გაიგონ კანცლერის პირისაგან რომ გერმანია მზათაა ზავის ჩამოსაგდებათ თუ არა.

სოციალისტური ფრაქციის შეკითხვას წარადგენენ 4 დეკემბრის სხდომაზე, ხოლო როდის გასცემს პასუხს მთავრობა ამ შეკითხვებს—ეს ჯერ გამოურკვეველი არაა.

ეგვიპტე.

ალექსანდრიიდან მოსული ცნობით ინგლისელები ამ უკანასკნელ კვირაში ენერგიულათ მუშაობენ და სუეცის არხს ამაგრებენ.

— ინგლისის მთავრობას გადაუწყვეტია,— თუ საჭირო გახდა—სუეცის არხის მთელ მიდამოებს წყლით დაფარავს.

— კუნძულ მალტიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ კაირში შეთქმულობა აღმოუჩენიათ, რომლის მიზანი იყო ქედივი და მისი მინისტრები ჩამოეგდოთ და ეგვიპტეში ამბოხება მოეხდინათ. მეამბოხეთ ინსტრუქციები ბერლინიდან მიიღეს. იმათგან 40 კაცი უკვე დაატუსაღეს. იქიდანვე იტყობინებიან, რომ გერმანიის აფიცრები სუეცის არხთან ენერგიულათ მოქმედებენ, არაბებს იარაღს ურიგებენ და მათ საღვთო ომისათვის მოუწოდებენ.

— რევენტლოვის აზრით ოსმალეთს რაც უნდა დაუჯდეს, ეგვიპტე უნდა დაიბრუნოს. მას ამ მიზნის მისაღწევათ დაეხმარება გერმანიაო.

სპარსეთში.

„რუს. სლოვოს“ თეირანიდან იტყობინებენ, რომ ინგლის-რუსეთსა და შაჰის მთავრობის შორის მოლაპარაკება ძნელდება. რუსეთისა და ინგლისის ელჩები უფრო დათმობის გზას ადგიან, ვიდრე სპარსეთის მთავრობა. პირველნი უკანასკნელს წინადადებას აძლევენ [illegible] ნეიტრალიტეტი დაიცვას და მათთან მეგობრული განწყობილება იქონიოს. წარდგენილ ნოტის ვადა პარასკევს გავიდა, მაგრამ შაჰის მთავრობას ჯერაც პასუხი არ მიუცია. კუმის ნაციონალური თავდაცვის კომიტეტმა განაცხადა, რომ იგი არეულობაზე ხელს აიღებს, უკეთუ ინგლის-რუსეთის მთავრობა სპარსეთის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. გერმანიის ელჩი დიდის ამბით სულთან-აბადში წავიდა. ინგლის-რუსეთის კოლონიებს შეერთებული შტატების მთავრობა იცავს.

— ამავე გაზეთს იტყობინებენ, რომ სპარსეთის თავდაცვის კომიტეტმა ხამადანში და სულთან-აბადში ინგლისის ბანკს კონფისკაცია უყვეს და ნახევარ მილიონი ნაღდი ფული მიითვისეს.

ქრონიკა

რუსეთი.

როგორც გამოირკვა სახელმწიფო საბჭოს წევრის ქად. რეინის პროექტი ხალხის ჯანმრთელობის სამინისტროს დაარსების შესახებ სათათბიროს სესია სათათბიროს წევრთა სხდომაზე არ განიხილავს. სამინისტროს საბჭომ დაადგინა ეს პროექტი განხილულ იქნეს ჩვეულებრივ საკანონ-პროექტო გამომცემლობის რიგში. მაგრამ არავითარი ზომები არ იქნება მიღებული ამ პროექტის სისრულეში მოყვანის დაჩქარების შესახებ. ეხლა კი პროექტი წერილობითი განმარტებით იბეჭდება სახელმწიფო სტამბაში.

ყველა მასალები პროექტისა, რომელიც იბეჭდება შეადგენს 400 გვერდს. პროექტი არ იბეჭდება იმ სახით როგორც ეს შეეხებოდა ხალხის ჯანმრთელობის სამინისტროს დაარსებას, არამედ მისი სახელი იქნება. ხალხის ჯანმრთელობის შემნახავი მთავარი სამმართველო. რომლის მთავარმმართველი აღჭურვილი იქნება მინისტრის უფლებებით.

—

19 ნოემბერს სამთო ინსტიტუტში მოხდა სტუდენტთა კრება რომელზედაც ნიკოლაევსკიმ წარადგინა ანკეტის პროექტი სტუდენტთა ცხოვრების გამორკვევის შესახებ. ანკეტა შესდგება 72 კითხვისაგან რომელმაც უნდა გაამჟღავნოს სტუდენ-

ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკასი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს წაკითხული

(შემდეგი იხ. „სამშ.“ № 232)

VI

დღესაც სადაო კითხვად არის დარჩენილი ის, თუ სახელდობრ ვის ანუ რის გავლენის ქვეშ წარმოიშვა, ქართულ რომანტიზმში ქალის კულტი. მკვლევარნი უთითებენ, შესაძლებელია ბიზანტიურმა იმ რომანებმა იქონიეს გავლენა, რომელნიც ზნეობას ჰქადაგობდენო. ნეოპლატონიზმი ამ დროს ფართოდ ისწავლებოდა საქართველოში, თუნდა ისეთი ღრმა მცოდნე მთარგმნელ და განმმარტებელ მსწავლულისაგან, როგორც გახლდათ იოანე პეტრიწი. სცადეს ქართველი ქალის კულტი და მისდამი ტრფიალი შეედარებინათ ქრისტიანულ ესთეტიზმისთვის. „წმიდა მამანი რაინდები“ თითქოს წმიდა განდეგილთა მაგიერობას ეწეოდნენ, რომელნიც განდგომილნენ ქვეყნიერობას და უდაბნოში ილოცოდნენ, ღვთის მსახურებაში ატარებდნენ თავიანთ დღეს. პროფესორი მარრი აქ ორს გზას არჩევს გასვლისას, რამაც თავი იჩინა ქართველთა პსიხოლოგიის ცვალებადობაში: „გრძელი გზა „სირცხვილეული“ (როგორც ახასიათებდნენ განდეგილნი მიწიერს სიყვარულს) და გზა „ედემისა“, მოფენილი მრავალი მსხვერპლით, რომელნიც დაეცნენ უმაღლეს იდეის გულისთვის: ეს გახლდათ მიწიერ სიყვარულის უღირსი სისუსტე და ქალის ზნეობრივი უმაღლესი სიფაქიზე“.

მაგრამ შეიძლება არ ასეთი მკაცრი და უკიდურესი ცვლილება მოხდა ქართველთა მსოფლმხედველობაში, როგორც ამას გვიხატავენ მკვლევარნი, უეცრივი და სწრაფი ცვლილების მაგიერად შესაძლებელია მომხდარიყო სასტიკი სულიერი ბრძოლა, ვიდრე ამ გზას ამოირჩევდნენ.

ქრისტიანობას ქალი დაუმცირებია საქართველოში, როგორც ამას ვხედავთ ევროპაში. პირიქით, მან ქალი უღირსად აამაღლა. რა თქმა უნდა, ამაში დიდი გავლენა ჰქონდა წმ. ნინოს ქადაგებასაც. ქართველ წმიდათა ცხოვრების აღწერილობაში ჩვენ გვხვდებიან მთელი რიგი უმაღლესი ქალის ტიპებისა, როგორც მაგალითად დედოფალი ბორილა, რუსუდანი (XIII საუკ.) თინათინ კახელი (XVI საუკ.), ქეთევან დედოფალი (XVII საუკ.) და ბოლოს თამარ დედოფალი. იერუსალიმის ერთს ხელნაწერში ვკითხულობთ, რომ ანტიოქიის მახლობლად შავ მთაზე სცხოვრობდნენ ქართველი მოლოზნები, რომელნიც სწვრთნიდნენ ბავშვებს და საღმრთო წერილის გადაწერას კისრულობდნენო. ამას გარდა, როგორც ზემოდაც გაკვრით აღვნიშნე, თვით ქართველური ასკეტიზმი მისი რელიგიური გამოხატულებით მიისწრაფოდა მარად ქალწულებისა და არა ხორციელი სიყვარულისკენ. შესაძლებელია ეს მოვლენა დამოკიდებულია იმ ქალურ სტიქიისაგან, რომლითაც გაჟღენთილია ქართველთა მთელი მსოფლმხედველობა.

ამ ბუნდოვან და ხშირად სრულიად გაუკვლევ ფაქტორთა გამო უფრო ნათელი ხდება საკითხი თუ რა ძლიერი გავლენა მოუხდენია სპარსულ რომანტიზმს ქართველ ქალთა კულტის განმტკიცებაზე. მართალია, საკითხის ასე დაყენება იწვევს ერთგვარს მღელვარებას და უზომ განცვიფრებას, მაგრამ ფაქტს ჩვენ ვერ ავუხვევთ გვერდს, და მართლაც, სპარსეთი და განდიდებული სიყვარული, მაჰმადიანობა და ქალთა კულტი, ეს ხომ ჯერაც მრავალ ჩვენგანისთვის შეუწყნარებელი რამ არის და ერთი მეორეს არ ეგუება, როგორც შეურიგებელი ორი უკიდურესი სარტყელი. რა თქმა უნდა, ყოველთვის ასეთ აზრს ვერ გავცილდებით იმ დრომდე, ვიდრე ამ საკითხს განვმარტავთ იმ სოციალ. მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფება ქალი დღევანდელ ოსმალეთსა ანუ სპარსეთში. ევროპიელთა შეხედულობა ქალის მდგომარეობის შესახებ ამ ქვეყნებში სრულიად ცალმხრივია და საკითხს სულ სხვაგვარად აშუქებენ. სოციალი და პერიოდული ნორმები სრულიად არ ეგუებიან სინამდვილეს. თანამედროვე საფრანგეთში, მაგალითად, ქალი არ ატარებს ჩადრს, იყოს დაბალს თუ მაღალ სწავლა-განათლების ხარისხს. აი, ასეთ ქალს საშუალო მდგომარეობის ფრანგი როცა ცოლად ირთავს, დიდ სიყვარულად მიაჩნია, თუ ეტყვის, „ma poule“-ს, ე. ი. ჩემო დედალო, „bonnet de nuit“ ე. ი. ღამის ხილაბანდო, ან კიდევ „pot be unit“... არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი ჟარგონი შემთხვევითი როდია: ფრანგული ლიტერატურა აგერ მთელი საუკუნეა, ბალზაკიდან მოყოლებული ბოდლერამდე მარტო იმის ცდაშია, რომ ქალი გააშინაუროს, უსპობს სულიერს სიმდიდრეს და ასე გალამაზებულ გამოშრეტილს ხდის მას [illegible] დამცხრობელ კოკოტად. გაიხსენეთ ბალზაკის „ქორწინების ფიზიოლოგია“, ფლობერის „mme Bovai“, „ნანა“ ზოლასი ანუ ბოდლერის „de metamorphose de vamrpire“ და თქვენ ვერც კი დაუახლოვდებით ქალის საკითხს ჩაწვდეთ. აი, აქედან უფრო ნათლად დაინახავთ რას წარმოადგენს ქალი საფრანგეთში, ვიდრე იმ სტატისტიკური ცნობებით, რასაც ფარდა აფარებით გვიქვეყნებენ.

ახლა თუ გადავხედავთ ქალს სამაჰმადიანო ქვეყანაში არა თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით, არამედ რელიგიის თვალსაზრისით, მაშინ სრულიად მოულოდნელ რეზულტატებს მივიღებთ ხელში. ვერსად „ყორანში“ ჩვენ ვერ ვნახავთ ვერც ერთს უკადრის ადგილს რაიც ქალს ამცირებდეს. „პატივი ეცით საშოსა, რომელმაც გშობათ თქვენ“,— ამცნებს წინასწარმეტყველი თავის თანამორწმუნეთ. მართალია, ხშირად გვითითებენ იმ გარემოებაზე, რომ ქალი „ყორანში“ მოხსენებულია როგორც სიამის მიმცემი წყარო, ისლამის ჭეშმარიტ მორწმუნეთა დასატკბობად, მაგრამ ასეთი ადგილები ყორანში მეტად ნაადრევი ნაკარნახევი გახლდათ, სამოთხის ჰურიებს სწორედ ამ ნაადრევად გამოქვეყნებულს ნაწილებში ვხედავთ. რამდენადაც მტკიცდებოდა მაჰმადის სწავლა, იმდენად მაღლდებოდა და ფაქიზდებოდა მის მიერ გამოქვეყნებული მცნებანი. განსაკუთრებით ეს ითქმის ქალთა დამოკიდებულების შესახებ. უდიდესი ჯილდო მაჰმადის აღთქმისაებრ ახლა ის იყო, რომ ერთგულ მორწმუნეებს მათი ცოლები თან გაჰყვებოდნენ და სამოთხის საუკეთესო ადგილებში დაამკვიდრებდნენ (38 სურა).

რაც შეეხება მრავალ ცოლიანობას, რასაც ნება დართო წინასწარმეტყველმა მაგრამ კი არ მოიწონა, ეს გავრცელებულია, როგორც ამას ჰმოწმობენ აღმოსავლეთის მკვლევარნი, მხოლოდ სპარსეთში. სპარსეთის იქით ასეთ მოვლენას იშვიათად თუ სადმე ნახავს ადამიანი.

თუ რა სიფრთხილით უნდა განვიხილავდეთ მაჰმადიანთა ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენას, ეს ცხადათ სჩანს ჩადრის წარმოშობის საკითხიდან. ჩვეულებრივ ისეთი წარმოდგენა აქვთ ჩადრის შესახებ, თითქოს მისი შემოღება ქალის დასამცირებლად შემოელოთ, რათა იგი მოეწყვიტათ გარეშე ქვეყნიდან. ჰგონიათ, ვითომც ჩადრი ფანატიკოს ექვიან ოსმალოთა მიერ იყოს შემოღებული, რომელთაც აღფრთოვანებული ჰიმნებით შეეგება ბაირონი. ისტორიის ირონია სწორედ ის გახლავთ, რომ ჩადრის წარმოშობა სრულიად საწინააღმდეგო ნიადაგზე გაჩნდა. არაბებმა პირველად მოჰბურეს ქალის სახე ასეთის ჩადრით. ამ შემთხვევაში ისინი ჰბაძავდნენ ძველს სასანიდთა სასახლის კარის ქალებს, რომელნიც კარზე პირბადით გამოდიოდნენ. ამით ისინი განსხვავდებოდნენ უბრალო ხალხისაგან. ჩადრის შემოღებაც ჯერ მაჰმადიანთა ცოლების საკუთრებას შეადგენდა, შემდეგ არაბთა არისტოკრატიაში გადადის იგი, ხოლო ბოლო ხანს ეს ჩვეულება თითქმის ყველამ გადაიღო და სრულიად დაჰკარგა პირვანდელი თავისი მნიშვნელობა.

საზოგადოდ არაბეთში ქალის მდგომარეობის შესახებ ლიტერატურის ისტორიკოსები თითქოს ერთხმად აღიარებენ: „საზოგადოდ ქალის მდგომარეობა ფრიად კარგად იყო დაყენებული და დიდის გავლენითაც სარგებლობდნენ... მათ უყურებდნენ არა როგორც მხევლებს, ანუ ნივთს, არამედ როგორც თანასწორთ და ამხანაგებს... ქალები ზეშთაგონების ჰორიზონტს უშლიდნენ მგოსნებს“...

უფრო ნაკლები საბაბი ჰქონდათ სპარსელთ ქალის დასამცირებლად. მთელი სპარსული რომანტიზმი სწორედ ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს. თვით მისტიციზმის დამფუძნებელი სპარსელი სოფისტები, ეს ხალხური ფილოსოფოსები, აი როგორ აფასებენ მიწიერ სიყვარულს: „მიწიერი სიყვარული ის ხიდია, რომლითაც უნდა გაიარონ მათ, ვინც ნეტარებას და ღვთაებრივ სიყვარულს ეძიებენ“. ეს საზოგადოებრივი შეხედულობა ქალზე და სიყვარულზე გახლავთ ის საფუძველი, რომელზედაც განმტკიცდა სპარსული რომანტიზმი, რამაც თავის მხრით ასეთი ძლიერი გავლენა იქონია ქართულ ლიტერატურაზე.

(ს.) ვ. გურკა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების, როგორც სოციალ-პოლიტიკური ისე მატერიალური მხარე. ანკეტის ფურცლებზე მოთავსებულია ომის საკითხები, კითხვები სტუდენტების დამოკიდებულებისა ომთან, სტუდენტების შეხედულება სამხედრო უფლების მისაღებათ მიუხედავათ ეროვნებისა. ქალთა უფლებების გათანასწორება და სხვა.

გერმანიის რეიხსტაგი.

რეიხსტაგი გაიხსნა პრეზიდენტ კემფის უფერული სიტყვით, რომელმაც გაიმეორა გაზეთების ფართო ცნობები სერბიაში გერმანელების წარმატების შესახებ. კემფის სიტყვამ, როგორც საზოგადოთ, ვერ გამოიწვია საერთო აღტაცება. ყველა ადგილი ხალხისგან დაჭერილი არ არის. დიპლომატების ლოჟები ცარიელია. სამინისტრო სტოლზე სხედან: შინაგან საქმეთა მინისტრი, დელიბრიუკი, ფინანსთა მინისტრი ჰელფერიხი, გარეშე საქმეთა მინისტრი ლიგოვი და ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი კრეტკე. სხდომას კანცლერი არ დასწრებია. პრეზიდენტ კემფის შემდეგ სიტყვას ამბობს ჰელფერიხი, რომელიც სხდომას უჩვენებს სამხედრო ბეგების შემოსავლის რაოდენობას, კანონ-პროექტი შეტანილი იქნება მხოლოდ მარტში. სოციალდემოკრატი შეიდემანი ლაპარაკობს ომისაგან გამოწვეულ აუტანელ მდგომარეობაზე. შემდეგი სხდომა დანიშნულია 26 ნოემბერს (9 დეკემბერს), ამ სხდომაზე კანცლერი წარმოსთქვამს სიტყვას.

„ოლფის სააგენტომ" დაგზავნა საპროტესტო წერილები საზღვარგარეთელ გაზეთების წინააღმდეგ. სოციალდემოკრატიული ფრაქციის პროტესტი ლიბკნეხტის გამოსვლის წინააღმდეგაა მიმართული, რომ ლიბკნეხტმა ფრაქციის დაუკითხავათ მთავრობას წარუდგინა ათი წერილობითი საკითხი. თუ რა საკითხებია ლიბკნეხტის მიერ მთავრობის წინაშე არავინ არ იცის, რადგან ეს წერილები არაად ცენზურამ არ გაუშვა. (რ. ს.)

რუმინეთი.

არ იცის ვის გაჰყვეს რუმინია. ის თვალს ვერ აშორებს ტრანსილვანიას, რომელიც ამ ჟამად ავსტრო-უნგრეთის მფლობელობაშია, რომელზედაც რუმინიელები მოსახლეობენ ეყვეთის ავსტრიას?

მაშინ მას ზურგიდან დაეჯახება ბულგარეთი, რომელსაც რუმინეთმა მეორე ბალკანეთის ომის დროს უომრად ჩამოართვა დობრუჯა.

დობრუჯა სულ ბულგარლებით არის დასახლებული და ამასთანავე მეტად ნაყოფიერი და შემოსავლიანი მხარეა.

დობრუჯას დაკარგვას ბულგარეთი ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა და დღეს ბრძოლის ველად გამოსული რუმინეთის მიმართაც იძიებდა შურს, მაგრამ ეს არ ძალუძს ბულგარეთს იმპერატორ ვილჰელმის დაუთანხმებლათ. ერთი სიტყვით, თუ რუმინეთი შეთანხმების სახელმწიფოთ მიემხრობა, მას დიდი შიში მოელის გერმანია ავსტრია-ბულგარეთ-ოსმალეთისაგან რადგან ეს უკანასკნელნი ამხანად მეტად კარგ მდგომარეობაში არიან და კიდეც შეერთდენ, ასე რომ, რუმინიის გადმოთელგადმოთელვაც არ გაუძნელდებათ.

ჩვენ ვიცით, რომ ბუქარესტში პარლამენტის გახსნის დღეს მომხდარი ამბები წინამორბედია რუმინიის ახლო მომავალში ბრძოლის ველზე გამოსვლისა, მაგრამ სამწუხაროდ დღეს-დღეობით კვლავ გამოურკვეველი რჩება, თუ ვის მიეკედლება რუმინეთი. ყოველივე შემთხვევაში რუმინეთის პოზიციის გამორკვევა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის მხარეზე უფრო იქნება გამარჯვების ნიშნები ორ მოპირდაპირე მებრძოლ ჯგუფებს შორის.

მემარჯვენეთა კრება პეტროგრადში.

კელცევი უთითებს სხდომას იმ მოვლენაზე რომელმაც ამ ბოლო ხანებში ქ. მოსკოვში იჩინა თავი და აცხადებს შემდეგს: მოსკოვი გადაიქცა რევოლუციის ქაობათ. ყველგან შეხვდებით ქალაქის საბჭოს მიერ გამოკრულ რევოლუციონურ განცხადებებს. დონცოვი ლაპარაკობს, რომ მოღვაწეობა ორივე კავშირისა, არ განისაზღვრება ფინანსიური ბოროტმოქმედებით. მათ მიჰყავთ რუსეთის სახელმწიფო რევოლუციისკენ.

ორატორი აცხადებს, რომ მოთხოვნილ იქნეს კავშირს მოღვაწეობის რევიზიათ.

დეპუტატი მარკოვი ლაპარაკობს, რომ მემარჯვენეებისათვის აუცილებელია ერთსულოვანი მოქმედება, ვინაიდან მოსალოდნელია რევოლუციის ნაპერწკალი მგზნებარე ცეცხლათ გადაიქცეს.

რევოლუცია ეხლანდელ მომენტში წარმოადგენს სახელმწიფოსათვის დიდ საფრთხეს, ვინაიდან ჩვენ მოგვიხდება წინააღმდეგობა შინაურ და გარეულ მტერთან სასტიკი ბრძოლა.

ამისათვის აუცილებელია ჩაქრობა რევოლუციის ნაპერწკლებისა. სადამოს სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვეს სამმა ყოფილმა მინისტრმა: მაკაროვმა, მაკლაკოვმა, შჩეგლოტოვმა.

პირველად მაკაროვი ამბობს, რომ აუცილებელია ადგილობრივ ადმინისტრაციის რეორგანიზაცია, იმ მოსაზრებით რომ იგი ემორჩილებოდეს ცენტრის განკარგულებას. უამისოთ ვერც ერთი მინისტრი ვერაფერს ვერ გააწყობს. შჩეგლოტოვი სიტყვიდან საქმეზე გადადის ორატორის სიტყვები მას არ აკმაყოფილებს. მთავარი ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს პროვინციებისკენ, ვინაიდან იქ მოქმედობენ ბლოკელები. მემარჯვენეებმა უნდა წინააღმდეგობა გაუწიონ ბლოკს ადგილობრივ და ამით შემოიერთონ ხალხის მასა. მაკლაკოვი ლაპარაკობს მემარცხენეთა ბეჭდვის აუცილებლათ წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, და მემარჯვენეთა ორგანოს გაძლიერებაზე. გადაჰქრით მიღებულ იქნა რეზოლუცია რომელიც შესდგება 9 მუხლისაგან, სადაც ნათქვამია რაც შეიძლება მონარქის მხარის დაჭერის შესახებ. კ. ს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ახლად გახსნილ კოოპერატიულ ფურნეს დიდძალი ხალხი ეტანება.

გამგეობამ გადაწყვიტა ამ ფურნის გვერდით მეორეც გახსნას და სხვა და სხვა უბნებში გააკეთოს პურის გასაყიდათ. ახლო მომავალში პური არსებულ ნიხრზე უფრო იაფათ გაიყიდება ფქვილის და შაქრის საყიდლათ გამგეობა ამ დღეებში განსაკუთრებულ კაცს აგზავნის. ქქ. ბ-ნ შენგელიას ეზოში, სადაც იმყოფება ფურნე, ამჟამად აშენებენ მეორე კიოსკს. პირველი აშენებულია მწვანე ბაზარში.

✦ გუშინ ქუთაისში ჩამოვიდა სკობელევის კომიტეტის წარმომადგენელი ფ. ვ. მურაშენკო და დღეს წარუდგება ქუთაისის გუბერნატორს. ბ-ნ მურაშენკოს დავალებული აქვს შეწირულებათა მოგროვება.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს, რომ იშუამდგომლოს სამხედრო მიმოსვლის უფროსთან რათა მიეცეს 40 ვაგონი როსტოვიდან პურის ფქვილის გადმოსატანათ.

✦ დღეს კ. ფოცხვერაშვილის კონცერტს დაესწრება ყ. დ. სამღ. იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი და ადგილობრივ ქართველ-კათოლიკეთა სამღვდელოება.

✦ თურქესტანის მეორე მ-უზუქი ბატარეიის უფროსი სთხოვს ქუთაისის გუბერნატორს მიეცეს ნება რომ 6 დეკემბერს ქ. ფოთში გამართოს საქველმოქმედო სეანსები ჯარის კაცთათვის შობის ხის გასამართავად.

✦ 21 ნოემბერს, ბალახვანის ქუჩაზე მცხოვრებმა შტაბს კაპიტან ვასილ მათვეევის ცოლმა — ვერ აიტანა ბრძოლის ველზე ქმრის მოკვლა, თავი მოიწამლა და გარდაიცვალა.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საერობო ორგანიზაციამ დაუგზავნა მოწერილობები სარაიონო აგრონომებს და მოსთხოვა და წვრილებით ხაზით აღრიცხვა 1916 წლის რაიონულ აგრონომიულ საჭიროებათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ამასთანავე მოსთხოვა გეგმა 1916 წლ. მუშაობისაც.

✦ ქუთაისის საგუბერნიო ორგანიზაციას რაჭა-ლეჩხუმის რაიონების აგრონომებმა უკვე წარმოუდგინეს ანგარიშები სამეურნეო სასწავლებლის იმ მოწაფეთა, რომელთაც ამ ზაფხულზე სოფლათ დახმარება აღმოუჩინეს ომში გაწვეულთა ოჯახებს.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში იმყოფება ახალგაზდა პოეტი ალ. შანშიაშვილი.

✦ გუშინწინ სალამოს მატარებლით თბილისიდან დაბრუნდა ქუთაისის ქალაქის მოურავი ილია მ. ჩიქოვანი და გუშინწინ უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

✦ თბილისის ფოშტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი საზოგადოების საყურადღებოთ აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, მისალოცი დეპეშები 24 ნოემბერს, 4, 6, 24, 31 დეკ. და 1 იანვარს 1916 წლისა, თბილისის ოლქის საფოშტო დაწესებულებებში არ მიიღება.

✦ ქუთაისის მცხოვრებმა, მასწავლებელმა ვლადიმერ ქრ. ნაცვლიშვილმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ ქუთაისში გამოსცეს ქართულ ენაზე ყოველკვირეული პედაგოგიური ჟურნალი ,,სკოლა და ოჯახი''.

სოფლათ

— 20 ნოემბერს დ. სახერის სატუსაღოდან გაიქცა ფაზაძე, რომელსაც 12 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი.

— როგორც სარწმუნოთ გავიგეთ დ. ახალ სენაკში, არსდება სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

— 13 ნოემბერს (სენაკის მაზ.) ს. ნოგის მცხოვრებს კ. აფხაზავას ახლოს ცეცხლი წაუკიდეს ზარალი 456 მან. აღემატება. ამავე მაზრის ს. საელიაოს მცხ. ივ. ფუტკარაძეს დაწვია სახლი ზარალი 1300 მანეთამდეა.

— სენაკის მაზრის საკრედიტო ამხანაგობის ბიუროში, რომელსაც დავალებული აქვს დამშეულთა გამოსაკვებათ იზრუნოს, არჩეულნი არიან გრიგ. ძიძიგური, ვ. ჰოლამანიძე, რ. გამსახურდია, ვ. ქობულია, მღვ. ფ. ჩომახია, ვ. პანტურია და ბ. ხელაია,

კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი.

მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს რომ დღეს, ქალაქის თეატრში გაიმართება საყურადღებო კონცერტი სხვათა შორის იგალობებენ ორს საგალობელს თავისავე თქმით ჩაწერილს მღვდლის რაჟდენ ხუნდაძის მიერ

1) **დავით აღმაშენებლის იამბიკო.**

„გვირგვინი მკლავმა ძლიერმან დაგადგა შენ,
აწ რა იმერნი სრულიად პატივის გცემენ,
ლახვრითა მით დააწყლულებ მტერთ გულთა,
უფას ოქროთა მოსილო, პორფიროსანო,
ბრწყინვალედ მეფეო დავით, თვით დავითისებრ“.

— —

2) **მუნასიბი—ხოტბა** ექვთიმე ათონელის—მთარგმნელისა, თქმული ნიკოლოზ თბილელის მიერ,

„ოქრო ნილოსით, მრწყემლი სიბრძნით ქართველთა,
ღრმად გამომეტყვი, კაპანთ მინდორთ მყოფელი,
მესხთა მთიები, იმერთა მთოვარე,
მზე გურულთა, ოდიშართა ცისკარი,
სვანთა, აფხაზთა ლიფლიფი, კახთ ნათელი“.

ბრძოლის ველიდან.

ლ-თან ბრძოლის შემდეგ ჩვენ კ-ს პოზიცია მივატოვეთ და ს-კენ დავიხიეთ.

ს-ი მცხოვრებთაგან უკვე დაცლილი იყო. მის თავზე დრო გამოშვებით ცეპელინებს შენიშნავდნენ, იქ უცბათ გაისმოდა მრისხანეთ გრიალის ხმა და ჯოჯოხეთის ცეცხლი ავარდებოდა, უზარმაზარი შენობა ერთ წუთში ნანგრევებათ იქცეოდა.

ძლიერ საშიშარი იყო ჩვენი ს-ში ყოფნა; თუმცა უშიშარ ადგილს ვიყავით დაბანაკებული, მაგრამ საკმაო იყო, მტერს შემთხვევით ჩვენს საპირდაპიროდ ყუმბარა ჩამოვარდნოდა, რომ დიდი უბედურებაც მოგვყენებია.

აფიცერმა ს-არ ძემ ეს აღრევე იგრძნო და სარდალს სხვა ადგილის მოძებნა ურჩია.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, დავიძერით ს-დან. ჩვენ ურდოს გაკეთება სი-გ-ს ტყეში ვიჯახებინეთ.

სიწყნარე იყო, ყველას მოსწყენოდა, ყველას თვალწინ უდგა ამ ორი სამი დღის წინად მომხდარი ამბები, საზარელი სურათი და ვერ გამორკვია რას სჩადიოდა... აფიცერს ს-არ-ძეს და მე გვაგონდებოდა სამშობლო და დიდათ გვანაღვლებდა...

—ნეტავ რა ამბავია ეხლა იქ? აგერ ორი თვეა არაფერი გამიგია. იქაც მტერი ხომ არ დათარეშობს? ან როგორ იქნებიან ჩვენსას ვაჟა-ფშაველა მოგვკვდომია კაცო! ეჰ, ჩვენი მოჭირნახულენი ხელიდან გვეცლებიან—სთქვა ს-არ-ძემ.

გათენდება იყო, რომ ჩვენი სარდალი ურდოდან დაიძრა, მაგრამ არ ვიცოდით საით უნდა წავსულიყავით. მივაშურეთ ქ. ნ-ს, რომელსაც ქალაქის სახელღა შერჩენოდა, თორემ სხვა ყველაფერი გამქრალიყო.

ეს გახლდათ პოლონეთის ერთ-ერთი ქალაქი, რომელიც მტერმა გაანადგურა და მხოლოდ მესამე დღეს მიატოვა.

აგერ-ეგერ ეყარენ კბილებ დალეჯილი თავის ქალები.

ქალაქის მოშორებით შევამჩნევდით ბინაზე განართხმულ ნახევრათ მკვდარ ბავშვსა და დედაკაცებს.

დღის 12 საათზე სარდალს ბრძანება მოუვიდა ჩვენ სამშობლოსკენ გვზავნიან. ჩვენ სიხარულს საზღვარი არ აქვს, რომ სამშობლოში ვბრუნდებით. ირაკლი.

მდინარის პირად.

ნიავი ჰქროდა ველს სისინით უბეს უხსნიდა,
მთვარის სარეცელს სხივთა კრთომა, კრეტსაბმელს ხსნიდა..
ასწლოვან ხეთა შავი ჩრდილნი, შავათ კრთებოდენ.
ბროლ ანაჩქერ ფიქრს მდინარისას უერთდებოდენ.
გრძნობა მორევით მუნ ბულბული, ჰკვნესოდა მწარედ,
ღამის შავ ფიქრში ვარდის ფერანგს სწნავდა მწუხარედ...
მდინარის პირად ყურს ვუგდებდი მჩქეფარ ზვირთთა რხევას,
ყორნის ფრთა-ბოლო ისევ სწვავდა ფიქრთ ოლმაკმევას,
ნიავი ისევ ველს სისინით უბეს უხსნიდა,
მზის დედოფალი ყოფნის ზღაპარს ცრემლებით ქმნიდა
და ცრემლის კუბოთ ავატოკე ყოფნის წუთები,
ჩემს რწმენის ღმერთებს გუნდრუკს ვუკმევ, ვესათუთები.
ჩამომეხსენით, ხელთ მიპყრია მგოსანს ებანი
ჩემში ვერ პოვოთ ხორციელი გახრწნილებანი.
ვშფოთავ, ასე მსურს ვერ უნახო სივრცეს საზღვარი,
მზის სხივთა სვეტზე მთვარის ეშხით მოვრთე ტაძარი.
და შიგ ვლოცულობ, ვლოცულობ დღე, ვლოცულობ ღამე
იქ უკვდავებით ვეზიარე აქ თუ მომშხამე.
სპეტაკ სულისთვის ცეცხლზე დავსწვავ ხორციელ ვნებას
ცად მიწის ლოცვად აღვავლინებ სულის ვედრებას.

ლადო მაჭავარიანი

დაჯილდოება.

ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის მიქაშავიძეს ებოძა როტმისტრობა, კიზირის—კაპიტნობა. ანნას მესამე ხარისხის ჯვრებითა და ხმალ-ლენტებით დააჯილდოვეს: აპ. იოსელიანი და გიორგი კირვალიძე ანნას მეოთხე ხარისხის ჯვრებით და ხმალ-ლენტებით: თავად. იური ლითონაძეს; ნიკ. კონწურაშვილი, ს. ბახუტაშვილი, ნ. ჩიჩინაძეს და დ. აბრამიშვილი.

დღესასწაული.

მე მოგახსენებთ სრულიად საქართველოს სიტყვა-კაზმულ მწერლობის წარმომადგენელთა კონგრესზე, რომლის მოწვევასაც მოითხოვს აუცილებელი საჭიროება.

ეს იქნება დღესასწაული, რომელსაც ხელოვნების ისტორია შეიტანს თავის ფურცლებზე.. ჩვენში არ არის ხშირი ამგვარი დღეები—ეს იქნება პირველი დღესასწაული დიდი ხნით გადაკარგულის და მშობლიურ ჭერ-ქვეშ დაბრუნებულის ძმების. მე ეხლავე თვალწინ მიდგას მტკიცე სულიერი განწყობილება ქართველი მწერლებით სავსე დარბაზში. მე წარმოდგენილი მაქვს სიცოცხლე და სიხალისე საქართველოს ყვავილების, ჩვენი საყვარელი და უძვირფასესი მგოსნების, რომელნიც ერთმანეთის სიახლოვეს იგრძნობენ თავს და ეხლავე მესმის მწარე, ჩამაფიქრებელი სიტყვები პოეტისა: „ძმებო მწერლებო! ჩვენს ბედში არის რაღაცა საბედისწერო“.

ბევრჯერ გამოუთქვამთ სურვილი ამგვარი კონგრესის მოწყობისა, მაგრამ არასდროს ეს აზრი არ განხორციელებულა. მაგონდება ჩვენი ძველი მწერლები და მესმის მათი საუბარი: ყველაზე უფრო საინტერესო მათი საერთო წარსულია ისინი მწუხარე სინაზით იგონებენ გამქრალ ახალგაზრდობას და აუსრულებელ ოცნებებს საერთო გზით სიარულზე, შეკავშირებაზე. დროს სვლასთან ერთად ჰქრებოდა ყოველივე ყალბი, ზედმეტი და რჩებოდა გულწრფელი სურვილი თანაგრძნობაზე. შორიდან ხომ ყველაფერი ლამაზია, თვით ისეთი ქაოტიური საგნები როგორც ღრუბელი ან ტალღა, რომელთაც სიახლოვეში სახე არა აქვთ. და ამ ქაოტიურ საგანს წარმოადგენდა ჩვენი ძველი მწერლებისთვის ყოველივე ცდა შეერთებისა.

მალე ყველა შეიკრიბება.

საჭიროა თამამი და გულწრფელი სიტყვები საერთო მწუხარებაზე ან ლხინზე. ათასგვარი კითხვა გადაწყვეტას ითხოვს, მრავალი მოვლენა ასახსნელია— და თვითეული სიტყვა, ამ ისტორიულ დღეს წარმოთქმული, უკვალოდ არ დაიკარგება. გაბედულად გადადგმება ნაბიჯი საქმისკენაც. ჩვენს წინ გადაშლილია ვრცელი ასპარეზი სამოქმედოთ და თუ ვისმეს საქმიანობის უნარი შესწევს—ყველას შეძლება ექნება დაგვანახოს ეს.

ჩვენ ველით ამ დღესასწაულს და ვუსურვებთ თ. შალვა დადიანს გამარჯვებას.

Miona.

ღია წერილი

ქართულ კომერციულ ბანკის დაარსება-მოწყობის საქმის გამგეებს.

ორი წელიწადი გადის, რაც საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთა წარმომადგენლების შემწეობით მოხერხდა სამ მილიონიანი სააქციონერო თანხის განაწილება ხელის მოწერით სხვა და სხვა ჩვენი ქვეყნის დაბა ქალაქებში. არსებული წესდების თანახმად მეათედი მთელი საწარმოვო თანხის, ანუ 300 ათასი მან. შეკრებილ იქმნა ორი თვის განმავლობაში. ვისაც ადგილობრივად მინდობილი ჰქონდა ხალხში გავრცელება ამ საჭირო დაწესებულების შესახებ ცნობების, ყველა პირდებოდა საზოგადოებას, რომ ეს ბანკი დაიწყებს მოქმედებას ექვსი თვის განავლობაშიო. მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ქართულ დაწესებულებაში, ამ კომერციულ ბანკში ჩვენებურ წარმოება-ვაჭრობა-მრეწველობას განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული, დიდის ხალისით ეწერებოდა ისეთი წევრიც, რომელსაც ათ პროცენტად ჰქონდა ნასესხები ამ ახალ ბანკში შესატანი ფული. ამ ორი წლის განმავლობაში ისე შეიცვალა გარემოება, რომ ვისაც ასი და ათასი მანეთის გაცემა-გაჩუქება არაფრად მიაჩნდა, ეხლა მას ათი მანეთი ენანება. ამნაირ პირობებში ქართულ კომერციულ ბანკის დასაარსებლად უნაყოფოდ გაჩერებული (800.000 მანეთი მძიმე ტვირთად აწევს ყველა ჩვენებურ ხელის მომწერელს, მით უმეტეს, როცა არ იცის, როდის დაიწყებს ამ ბანკის სასურველი წარმოება მოქმედებას. დღემდის, სამწუხაროდ ჩვენდა, არ თუ უბრალო ხელის მომწერმა, იმ პირებმაც, რომელნიც სხვა და სხვა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში მოთავეობდნენ სააქციონერო თანხის მოპოვების საქმეს, არ იციან რა მდგომარეობაშია ეს ბანკი და შეგროვებული ფული. გარდა სააქციონერო თანხისა, ათი ათას მანეთამდე ბანკის დაარსებისათვის საჭირო ხარჯად იყო შეკრებილი. ჩვენ ყოველთვის გვაწუხებს ის გარემოება, რომ ხალხის უმრავლესობა ეჭვის თვალით, უნდობლად უყურებს მოთავე ინტელიგენციის საქმიანობას, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ასეთი მაგალითები სამუდამოდ აფერხებს და სპობს ჩვენი მოთავე ინტელიგენციისადმი ნდობას და რწმენას ხალხში. ასეთი დიდი საქმე, როგორც სამ მილიონიანი თანხის განაწილება ჩვენებურობაში და 300 ათასი მანეთის მოკლე ვადაში შეკრება სახალისო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში.

მაგრამ დიდ დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს იმ პირთ, რომლებთაც მინდობილი იქ ამ საქმის გაძღოლა-პატრონობა ასე გულ-გრილად და რაღაც აგდებულად მოეპყრობა საზოგადოებრივის საჭიროებისა. ერთად-ერთი გასამართლებელი პასუხი ამ საქმის შეჩერება-დაგვიანების ის არის, რომ ამ ომიანობის გა-

მო და ფინანსიურ გარემოებათა არევ-დარევის მიზეზით უდროვო არის ამ ჟამად ბანკის დაარსებაო, რადგანაც სიძვირე თანხის მოგროვება გაძნელდება ეხლანდელ პირობებშიო მაგრამ ჩვენ ხალხს არას დროს ისე არ დასჭირვებია ბანკის დახმარება, როგორც ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში: მთელი ჩვენი ქვეყანა დამშეულია, მთავრობა მილიონობით იძლევა ფულს ხალხისთვის საკვების მოსატანად და დასარიგებლად და ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელნი იძულებული არიან-კერძო მოიჯარადრეებს და ჩარჩებს გადასცენ ხალხის ზრუნვა—პატრონობის საქმე. თვით უცხოელთა კომერციული ბანკების გამგენი, ხედავენ რა ჩვენს უპატრონობას, გვიბრალებენ და თავიანთ შემწეობა-დახმარებას გვპირდებიან და ჩვენი კი 300 ათასს მანეთი თითქმის უსარგებლოდ მიგვიბარებია ისეთ სავაჭრო ბანკისათვის, რომელიც ამ ფულით საკვებს ჰყიდულობს და დიდ ფულს იგებს ჩვენი უბედურობის მიზეზით. თუ ამ ჟამად კანონით სავალდებულო სააქციონერო თანხის მოგროვება გასაჭირია, შეიძლება შემცირდეს სანახევროდ დამაარსებელი თანხის რაოდენობა. რაკი 300 ათასი მანეთი გვაქვს, ამდენსავე მარტო ბაქოელები შემოიტანენ, ამნაირად, თუ მონდომა მეცადინეობას არ დავაკლებთ, ამ ბანკის წარმოების დაწყება ადვილი მოსახერხებელია. რომ ქართულ ბანკს ამ ხალხის გაჭირვების დროს დიდი მნიშვნელობა ექნება, ამის ახსნა საჭირო არ არის. მარტო საკვების მოპოვება—დამზადების საქმეს რო მოჰკიდოს ხელი ამ ბანკმა ხალხსაც დიდ სარგებლობას მოუტანს და მასაც საკმაო მოგება დარჩება.

ბევრი ჩვენებური საზოგადოების წარმომადგენელნი ამავე აზრის არის ამ კომერციულ ბანკის დაარსების შესახებ, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით არ აცხადებენ თავიანთ აზრს. საჭიროა სხვებმაც გამოსთქვან აზრი.

(ს. ფ.) **ნიკო თავდგირიძე.**

ბ-ნ ლადო ბზვანელს პასუხად*).

განსვენებულ ი. გოგებაშვილს არა ერთხელ უთქვამს, რომ მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოების დასაცავად უფრო მეტი შრომა, მწუხარება და უსიამოვნება შეხვედრია, ვიდრე მათ შედგენასა და გამოცემაზე. ეს სიტყვები მოგვაგონდა, როცა ლადო ბზვანელის ბიბლიოგრაფია წავიკითხეთ „სახალხო ფურცლის“ მე-482 ნომერში დაბეჭდილი.

ცხადია, ბ-ნი ბზვანელი ბიბლიოგრაფიის წერის დროს ხელმძღვანელობდა წმინდა განზრახვით: მას სურდა, თავისი შენიშვნებით ავტორებისათვის შეცდომები ეჩვენებია, რომ მომავალი გამოცემა უკეთესი ყოფილიყო; ვიმეორებთ, ეს ცხადია, ამის ეჭვი ჩვენ „გუთნის“ შემდგენლებს სრულიად არა გვაქვს და მადლობელიცა ვართ, რომ სახალხო სკოლის მასწავლებელმა, რომლის შრომის და მოღვაწეობის დიდი პატივისმცემელნი და მოტრფიალენი ვართ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო ამ სახელმძღვანელოს შესახებ, რომელიც ამ ექვსი წლის განმავლობაში წელს მესამედ დასურათებული გამოიცა. ხოლო რამდენად ეს მისი შენიშვნები საფუძვლიანია, ამას მკითხველი ქვემოთ დაინახავს.

პირველი ნაკლულევანება „გუთნისა“, ბ-ნ ბზვანელის აზრით, ის ყოფილა, რომ „ორი ნაწილი სტატიებისა სხვა და სხვა უცხო მწერალთა ნაწარმოებიდან არის და მხოლოდ ერთი ნაწილი ორიგინალურია“. ეს სრული სიმართლეა, ორი ნაწილი მასალისა ამოღებულია უცხო მწერალთა ნაწარმოებიდგან და შემდეგ ზოგი ჩვენგან შესწორებულია, ზოგი შემოკლებული და ზოგი პირდაპირ ნათარგმნი, რომ გვაიძულა ასე მოვქცეულიყავით და არა ისე, როგორც ბ-ნ ლადო ბზვანელსა და ჩვენცა გვსურდა, ეს განმარტებულია და ცხადათ ნათქვამი „გუთნის“ წინასიტყვაობაში, რომელიც, ეტყობა, ბ-ნ ბზვანელს დაკვირვებით არ წაუკითხავს, თორემ ამ შენიშვნას არ დასწერდა. გვიჩვენოს ბ-ნმა ბზვანელმა ჩვენს ორიგინალურ მწერლობაში ისეთი ნაწარმოები, რომელიც წიგნის მიზნისთვის გამოსადეგი და შესაფერი იქნებოდა და ჩვენ მისი შეტანა სახელმძღვანელოში დავიზარეთ, ან არ მოვინდომეთ და მაშინ მის შენიშვნას საფუძვლიან შენიშვნად მივიღებთ; მანამდის კი, ნურას უკაცრავათ, თუ ეს მისი შენიშვნა ჩვენ მივიჩნიეთ უსაფუძვლოთ.

დარწმუნებული ვართ, „გუთანზე“ უკეთესად ბ-ნი ბზვანელი „ბუნების კარს“ იცნობს. აბა დაუკვირდეს ამ უკანასკნელის მასალის შემადგენლობას, თუ იქაც ის სურათი, არ დაინახოს, რაც „გუთანში“ დაუნახავს. თუ კი ისეთმა დაკვირვებულმა და დიდი ხნის გამოცდილმა პედაგოგმა, როგორიც იყო განსვენებული გოგებაშვილი, ეს ნაკლი ვერ აიცდინა, რაღა მაინცა და მაინც ჩვენ უნდა ჩაგვეთვალოს დიდ დანაშაულად! აიღეთ „ბუნების კარის“ პირველი სტატიებიც კი: „დილის მზის სხივები“, „მიპატიჟება სასწავლებელში“, „ყმაწვილები ჰალაში“, „კატო და ფრინველები“ და სხვა მრავალი სტატია განა სულ ნათარგმნები არ არის! რა პირველი სტატიები გინდათ; განა უმრავლესობა „ბუნების კარის“ მასალისაც ან ნათარგმნი არის შემდგენელისაგან, ან გადმოკეთებული, ან შესწორებულ-შემოკლებული.

თქვენ ისა ბრძანეთ, რა შინაარსისა არის ეს მასალა, როგორ არის იგი გადმოქართულებული, რა სისტემით არის იგი დაწყობილი და ემსახურება იმ კეთილშობილ მიზანს, რომელიც მოზარდ თაობას კეთილ გზაზე დააყენებს და სასარგებლო ცოდნის შეძენას და შრომის სიყვარულს გაუღვიძებს თუ არა. თავი დავანებოთ ბ-ნ გოგებაშვილის „ბუნების კარს“, აიღეთ თუ გინდ რუსეთის საუკეთესო პედაგოგები, უშინსკიდან დაწყებული დღევანდელ პედაგოგებამდი. განა ყველა ესენი თავიანთ სახელმძღვანელოს მასალას მარტო საკუთარის მწერლობისას იღებდნენ და დღესაც იღებენ!..

მიუხედავად ამისა, ჩვენი „გუთნის“ ქრისტომატიულ ნაწილში დიდი ადგილი დავუთმეთ ჩვენს საუკეთესო მწერლებს: გრ. ორბელიანს, რაფ. ერისთავს, ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, საბა ორბელიანს, ეკ. გაბაშვილს, ეგ. ნინოშვილს, დუტუ მეგრელს, დ. კლდიაშვილს, მ. გურიელს, შ. მღვიმელს, ნ. ლომაურს და სხ.

მეორე ნაკლულევანება ჩვენი სახელმძღვანელოსი თურმე ისა ყოფილა, რომ „სტატიები მეტად გრძელი და გაუთავებელია, ენა მძიმე და ძნელად შესათვისებელი, საამბობად ძნელი. მოთხრობებში შეხვდებით ადამიანთა უცხო სახელებს: „პატიკო, ამირინდო, ჯულიო, ჩეჩილიო, ენრიკო და სხ“...

სამწუხაროდ, ბ-ნი ბზვანელი არ ასახელებს, რომელი სტატია მიაჩნია მეტად გრძელ სტატიად. ანალოგიურ სახელმძღვანელოს სტატიებს რომ შევადაროთ ჩვენი სახელმძღვანელოს სტატიები, დავინახავთ, რომ ჩვენი სტატიები სივრცით მეტი არ არის, მაგრამ ასეც რომ იყოს, განა ეს დიდი ნაკლულოვანებაა? ზოგიერთი სტატია შეიძლება ზოგს გრძელ სტატიად ეჩვენოს, მაგრამ ეს სიგრძე სრულიადაც არ დაუშლის მოსწავლეს მის შეთვისებას, თუ შინაარსი საინტერესოა. უმრავლესობა ამისთანა სტატიებისა ჩვენს სახელმძღვანელოში ისეთი კეთილშობილურის გრძნობით და დრამატიზმით არის აღსავსე, რომ, მოსწავლე მეტად ჩლუნგი ნიჭის პატრონი უნდა იყოს, რომ ბოლომდის ამისთანა სტატიის წაკითხვა და შინაარსის შეთვისება გაუძნელდეს.

ენის სიმძიმესაც უკიჟინებს „გუთანს“ ჩვენი ბიბლიოგრაფი, მაგრამ არც ამის ნიმუშებს გვისახელებს, და ზოგად ფრაზას, არ ვიცით, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ვისთვისმე!; როგორც ზემოთ ვსთქვით, ქრისტომატიული ნაწილი ჩვენი სახელმძღვანელოსი შეიცავს ჩვენი გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებთა საუკეთესო ადგილებს, და ნუ თუ მათი ენა მძიმე და ძნელი გასაგებია!?

მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი ის არის, რომ ბ-ნ ბზვანელს სახელები: „პატიკო“ და „ამირინდო“ უცხო ადამიანთა სახელებად მიაჩნია; ეს კი რაღაც გაუგებარი კურიოზია! ნუ თუ ბ-ნმა ბზვანელმა არ იცის, რომ ეს ორი სახელი წმინდა ქართული სახელებია და ნახმარია ჩვენი სიამაყის ი. ჭავჭავაძის ორიგინალურ მოთხრობაში „უცნაური ამბავი“... გვიკვირს, რომ, თუ ბ-ნმა ბზვანელმა ეს არ იცოდა, რატომ პატივცემულმა გაზეთმა „სახალხო ფურცელმა“ მაინც არ შენიშნა! ბ-ნო ბზვანელო, ბოლომდის წაიკითხეთ ეს სტატია და იქ ნახავთ ი. ჭავჭავაძის გვარს.

ასეთი შენიშვნის შემდეგ საბუთი გვეძლევა, ვიფიქროთ, რომ ბ-ნ ბზვანელი „გუთანს“ კარგად არ გასცნობია, დაკვირვებით არ წაუკითხავს, თორემ ასეთს უსაფუძვლო შენიშვნას არ დასწერდა.

ბოლოს იმასაც გვიკიჟინებს, რომ წიგნში „მასალა ბევრია, მესამესა და მეოთხე განყოფილებაში იმდენი მასალის გავლა და შეთვისება შეუძლებელია, ამიტომ ავტორებმა მასალა უნდა შეამოკლონ, ორიგინალურ ნაწარმოებს მეტი ადგილი უნდა დაუთმონ და სახელებიც ჩვენებურ სახელებად უნდა შესცვალონო“. ამის პასუხად აი რას მოვახსენებთ ბ-ნ ბზვანელს: მასალის სიმრავლე, ჩვენის ფიქრით, სახელმძღვანელოს დიდ ნაკლულევანებად არ უნდა ჩაეთვალოს, თუ ეს მასალა შინაარსით და გარეგნობით უვარგისი და მავნებელი არ არის. ამ შემთხვევაშიაც მივმართოთ შედარებას: ჩვენს სახელმძღვანელოში საკითხავი მასალა მოთავსებულია 387 გვერდზე, ხოლო „ბუნების კარისა“ 632 გვერდზე. აქედან ცხადათ ჩანს, რომ „ბუნების კარის“ მასალა თითქმის ერთიორად დიდია. მაგრამ „ბუნების კარის“ ავტორისათვის ეს სიმრავლე მასალისა ნაკლულოვანებათ არავის ჩაუთვლია. რატომ? იმიტომ, რომ ნიჭიერი და თავისი საქმის კარგი მცოდნე მასწავლებელი ამ მრავალ მასალისაგან მოსწავლეთა განვითარებისა და სასწავლო დროის მიხედვით შესაფერს აირჩევს და შეასწავლის, მაგრამ თუ სახელმძღვანელოს მასალა მეტად ღარიბია, იქიდან ამოსარჩევი რაღა იქნება!

კიდევ გავიმეორებთ, რომ თუ „ბუნების კარის“ 632 გვერდის შეთვისება ორი წლის განმავლობაში შესაძლებელია, რატომ ამავე დროის განმავლობაში „გუთნის“ 387 გვერდის შეთვისება შეუძლებელია, ჩვენ ეს არ გვესმის! თუ ჩვენი არ გჯერათ, ბ-ნო ბზვანელო, დააკვირდით „ბუნების კარის“ სათაურს, იქ დიდრონი ასოებით ასე სწერია: „ბუნების კარი“ მესამე და მეოთხე წლისთვის“.

ახლა მკითხველისთვის მიგვინდვია იმისი დაფასება, თუ რამდენად საფუძვლიანია ბ-ნ ბზვანელის შენიშვნები „გუთნის“ შესახებ. მაგრამ ამით იმისი თქმა არ გვინდა, რომ ვითომც „გუთანი“ უნაკლულო წიგნი იყოს. ცხადია, რომ ნაკლულევანება აქვს, და ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ სახალხო მასწავლებელთა შორის გამოჩნდება დაკვირვებული და საფუძვლიანად გაცნობილი პირი, რომელიც თავის საფუძვლიან შენიშვნების გამოთქმას არ დაგვამადლებს.

დასასრულ, უმორჩილესად ვსთხოვთ გაზეთ „სახალხო ფურცელს“ სამართლიანობის დასაცავად, ეს სტატია უცვლელად გადაბეჭდოს მახლობელ ნომერში.

„გუთნის“ შემდგენელნი.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელათ და ავტორის მართლწერის დაცვით. **რედ.**

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით პასუხი მივცე გაზეთ „სამშობლოს“ მე-205 №-ში მოთავსებულ ჩემს შესახებ წერილს რომელშიაც ვითომ ბატონი ბოჭორიშვილი კრებდა შემოწირულობას წყალტუბოს სამკითხველოს სასარგებლოთ 30 აგვისტოს. და, ვითომ მე შეურაცხყოფა მიმაყენებია და დიდი დამუქრებით, რომ ფულებს კრეფთ და სამკითხველოში კი გაზეთი არ არის. ჩემს ნათქვამს ახლაც ვიმეორებ და ვამბობ, რომ ეს სინამდვილე არის. მთელი სამი წელიწადია, რაც ჩვენ სამკითხველოში კვირაში სამ ნომერ გაზეთს ვერ ნახავთ; წიგნი ხომ სულ არ არის თვითონ სამკითხველო დაგირავებული იყო წყალტუბოს საერთო ბანკში და ეხლა კი დახსნილი არის, მაგრამ რა საჭირო იყო დახსნა არავითარი წიგნი და გაზეთი არ მოიძებნება. მთელი ზაფხული ისე გავიდა, რომ ათჯერ არ ყოფილა გაზეთი. გაზეთს ეძებდა სააბანოვოთ მოსული ხალხი, მაგრამ სამკითხველოს მზრუნველები არ იწუხებდნენ თავს გაზეთის შეძენაზე.

ახლა ბ-ნი ბოჭორიშვილი მთხოვს პასუხს და ეს არის ჩემი პასუხი რომ სინამდვილეა ის შენიშვნა, რომელიც ვუთხარი 30 აგვისტოს. და თუმც ბ-ნი ბოჭორიშვილი ისურვებს სამედიატორო სასამართლოში საქმის გარჩევას დანიშნოს დრო და ავირჩიოთ მედიატორები.

ამას გარდა ბ-ნი ბოჭორიშვილი ეხება თავის წერილში ჩემს პიროვნებას და მთვლის ისე რომ ვითომც მე გაზეთის არც კითხვა ვიცოდე და არც წაკითხულის შინაარსის გაგება, ბ-ნ ბოჭორიშვილს ამის დამტკიცებას ვთხოვ სამედიატორო სასამართლოში, რადგანაც იგი ამით ჩემს პიროვნებას შეურაცხყოფას აყენებს.

წყალტუბოს აბანოს წევრი ბესარიონ ისხელიანი.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

გერმანიაში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kiegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
Liebesgaben für bie
russischen Kriegsgefangenen
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:
suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
A. A. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:
Banque populaire suisse, Fond
Russe pour les prisonniers de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Généve.

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	5 ს. 50 წ.
„	ღამის	11 ს. 30 წ.
ბათომიდან	დილის	10 ს. 5 წ.
„	ღამის	2 ს. 23 წ.
ფოთიდან	დილის	10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან	დილის	9 ს. 38 წ.
„	საღამოს	7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	7 ს. 55 წ.
„	ღამის	1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	საღამოს	10 ს. —
„	დილის	4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	ნაშუადღ.	4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ	დილის	6 ს. 40 წ.
„	ნაშუადღ.	4 ს. 20 წ.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „სამშობლოს“ კანტორა პატივისცემით მოაგონებს იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული არ გადაუხდიათ—ნუღარ დააყოვნებენ ფულის გამოგზავნას.

„სორაპანის“ გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული

კედლის კალენდარი 1916 წ.

შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
ტფილისი, ხტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს
და ქ. ქუთაისში, თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 15—4

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, კალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.